


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ



ნოე ქაშიბაძე

16.04.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური
აუდიტის ანგარიში № 4/129

(01.01.2012-01.01.2013)

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს



შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	4
ფორმა N1 - ბალანსი	5
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	6
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	8
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	9
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	ERROR!
BOOKMARK NOT DEFINED.10	
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.2
1. ზოგადი ინფორმაცია.....	122
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	133
3. ინვენტარიზაცია.....	13
4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	13
5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები.....	14



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლოზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური

ანგარიშების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

უპირობო მოსაზრება


ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

ავტოსარანსპორტო საშუალების („მერსედეს-ბენცი E-320“, ძრავის მოცულობა 3.2, გამოშვებული 2001 წელს) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, განხორციელებულია არარაციონალურად. ვინაიდან 14,000.00 ლარად შეძენილია ავტომანქანა, რომელიც მისი ექსპლუატაციაში ყოფნის (თერთმეტი წელი) ვადიდან გამომდინარე, ამორტიზებული იყო.




არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

მირითადი აქტივების (2,735 ლარის პირველადი ღირებულება და 878 ლარი ნარჩენი ღირებულება) დანაკლისის თანხები ბალანსში აღრიცხულია საცნობარო მუხლში - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (10), რაც ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას, ვინაიდან მოცემული აქტივების დანაკლისის თანხები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა აღირიცხოს ანგარიშზე 1440 - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და უნდა მოიხსნას მოცემული საცნობარო მუხლიდან.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ აყვანილი არიან სამინისტროს არქივზე პასუხისმგებელ პირებად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 500-500 ლარი, სულ 12,750 ლარი.



27

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		0	0
II. არაფინანსური აქტივები			
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		38,119	33,160
სხვა ძირითადი აქტივები		10,584	10,980
არაწარმოებული აქტივები		0	0
ბალანსი		48,703	44,140
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		0	0
II. კაპიტალი			
წმინდაღირებულება		48,703	44,140
ბალანსი		48,703	44,140
III. საცნობარო მუხლები:			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		87,365	118,559
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	3	31,984	39,462

მინისტრი

თამაზი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

დავით ესათია



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

1	2	3	4	5	6	7	8
1. ხარჯები	624,569	684,344	647,161	647,161	647,161	661,765	14,594
1.1 შრომის ანაზღაურება	509,330	540,875	540,874	540,874	540,874	540,874	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	443,280	442,824	442,823	442,823	442,823	442,823	
1.1.1.3 პრემია	58,010	95,551	95,551	95,551	95,551	95,551	
1.1.1.4 დანამატი	8,040	2,500	2,500	2,500	2,500	2,500	
1.2 საკონტინგენტო და მომსახურება	115,239	107,469	106,287	106,287	106,287	106,287	
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	34,200	36,550	36,550	36,550	36,550	36,550	
მივლინებები	1,500	0	0	0	0	0	
ოფისის ხარჯები	53,689	47,584	47,148	47,148	47,148	47,148	
წარმომადგენლობითი ხარჯები	500	500	469	469	469	469	
ტრანსპორტ. და ტექნ. ქსპლ. და მოვლა-შენახვა	25,100	22,185	21,567	21,567	21,567	21,567	
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	250	750	125	125	125	125	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	14,594	14,594
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-



თამაზი კვარაცხელია

დავით ესათია

მინისტრი

მთავარი ბუღალტერი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი		განმარტება	დამტკიცებული გვერდით	დაზუსტებული გვერდით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები			2,700	18,524	18,381	18,381	18,381
1.1 ძირითადი აქტივები			2,700	18,524	18,381	18,381	18,381
1.1.1 შენობა-ნაგებობები			-	-	-	-	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		5	2,700	16,164	16,021	16,021	16,021
სატრანსპორტო საშუალებები			-	14,000	14,000	14,000	14,000
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			2,700	2,164	2,021	2,021	2,021
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			-	2,360	2,360	2,360	2,360
არამატერიალური ძირითადი აქტივები			-	2,360	2,360	2,360	2,360
1.2 მატერიალური მარაგები			-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები			-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები			-	-	-	-	-

მინისტრი _____ თამაზი კვარაცხელია


მთავარი ბუღალტერი _____ დავით ესათია



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
 ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011	48,703
დებიტი	
მომუშავეთა ანაზღაურება	(540,874)
საქონელი და მომსახურება	(106,287)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(14,594)
<i>მ.შ.ფიზიკური ცვეთა</i>	<i>(14,594)</i>
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(10,843)
<i>არაფინანსური აქტივები</i>	<i>(10,843)</i>
სულ სადებიტო ბრუნვა	(672,598)
კრედიტი	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	665,543
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	2,492.64
<i>არაფინანსური აქტივები</i>	<i>2,492.64</i>
სულ საკრედიტო ბრუნვა	668,035
წმინდა ღირებულების ცვლილება	(4,563)
წმინდა ღირებულება 31/12/2012	44,140

მინისტრი _____ თამაზი კვარაცხელია
 მთავარი ბუღალტერი _____ დავით ესათია



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
 ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ყენადაცემული რესურსები	მიღება		გასვლა		რესურსები დასაბრუნებელი
		თანამდებობის დასახელება	თანამდებობის ფინანსური დასახელება	თანამდებობის ფინანსური დასახელება	თანამდებობის ფინანსური დასახელება	
ბირთვული აქტივები	48,703	18,381	2,493	10,843	14,549	44,140
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	38,119	16,021	2,493	10,843	12,630	33,160
სატრანსპორტო საშუალებები	22,452	14,000		10,843	3,244	22,365
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	15,667	2,021	2,493		9,387	10,794
სხვა ბირთვული აქტივები	10,584	2,360			1,964	10,980
არამატერიალური ბირთვული აქტივები	10,584	2,360			1,964	10,980



მინისტრი
 მთავარი ბუღალტერი
 თამაზი კვარაცხელია
 დავით ესათია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)	საანგარიშო პერიოდის დასასრულში (რაოდენობა)	საანგარიშო პერიოდში მიღება (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გასვლა (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტური)			
	ეფიციენტობა	ეფიციენტობა	ფაქტური	გეგმიური	ფაქტური	გეგმიური	აქრად აღნიშნული	ფაქტური	გეგმიური	ფაქტური	აქრად აღნიშნული	ფაქტური	გეგმიური	ფაქტური
1	სატრანსპორტო საშუალებები	2												
1.1	მ.შ. მსუბუქი მანქანები	2		1				1568	1126	7918	2433		17918	2433
1.2	ჯიპები და პიკაპები													
1.3	სატვირთო													
2	მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა სულ	183												
2.1	მობილური ტელეფონები	5												
2.2	ტელევიზორები	5												
2.3	კომპიუტერები	36		3		5								



მინისტრი
მთავარი ბუღალტერი
თამაზი კვარაცხელია
დავით ესათია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
 ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო (სამინისტრო) საქმიანობას წარმართავდა აფხაზეთის ა.რ. მთავრობის 2007 წლის 28 მარტის N18 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.


სამინისტრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებაა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-11 მუხლის თანახმად ხელმძღვანელობს მის სტრუქტურულ ერთეულებს და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო ფინანსურ პოლიტიკას ავტონომიურ რესპუბლიკაში და ექვემდებარება, როგორც აფხაზეთის მთავრობას, ასევე საქართველოს შესაბამის სამინისტროს.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1005).

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებია:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- იურიდიულ საკითხთა, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
- საბიუჯეტო დეპარტამენტი:
 - ა) კონსოლიდირებული ბიუჯეტის განყოფილება;
- ფინანსური პოლიტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი:
 - ა) საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება;
- ხაზინა:
 - ა) ბიუჯეტის ხარჯებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება;
 - ბ) საგადახდო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შემოწმების განყოფილება;
- შიდა აუდიტის სამსახური.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 42 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 6 ერთეული შეადგინა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
 ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ინვენტარიზაცია

მიმდინარე აუდიტთან დაკავშირებით, მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის N03/14 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია; შედეგად მატერიალური ფასეულობების მეტობა არ გამოვლენილა, ხოლო საინვენტარო აღწერისას წარმოდგენილი არ იყო სულ 2,735 ლარის პირველადი ღირებულების შემდეგი აქტივები:

- მობილური ტელეფონი (SAMSUNG T100) 216 ლარის ნარჩენი (1,080 ლარის პირველადი) ღირებულების - ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შსს სამმართველოს მეორე განყოფილების 2006 წლის 4 სექტემბრის №27/2317-667 ცნობის თანახმად, მობილური ტელეფონის დაკარგვასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (№02065447);
- პორტატული კომპიუტერი (Notebook) 662 ლარის ნარჩენი (1,655 ლარის პირველადი) ღირებულების - შსს ქ. თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების 2007 წლის 26 ოქტომბრის №27/14/7/4-5 ცნობის თანახმად, კომპიუტერის ქურდობასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (№06074080).

ზემოაღნიშნული ძირითადი აქტივების (2,735 ლარის პირველადი ღირებულება და 878 ლარი ნარჩენი ღირებულება) დანაკლისის თანხები ბალანსში აღრიცხულია საცნობარო მუხლში - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (10).

4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯული იყო 36,550 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 5.64 %-ს შეადგენს; ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე. აქედან 2 პირი აყვანილი

იყო მთელი წლის პერიოდში სამინისტროს არქივზე პასუხისმგებელ პირებად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 500-500 ლარი, სულ 12,750 ლარი.

5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად გამოეყო 14,000.00 ლარი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ჩატარებულია სამინისტროს ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით სამინისტროს სისტემაში ატვირთული აქვს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები.

სატენდერო დოკუმენტაციები (შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია) დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით 14,000 ლარად შეძენილია ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი E-320“. ავტომანქანის შესყიდვა განხორციელებულია ფიზიკური პირი კახაბერ ნაჭყებიასთან 24.05.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებისა (N52) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აუდიტორი:

გიორგი ფრუიძე

ასისტენტ-აუდიტორი:

ნაია ხოფერია

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

16 აპრილი 2013 წელი

ქ. თბილისი

